


— ჩვენ ვერ გიწვევით! ტელეფონი მოიხსენით და გულის
შეტევების მოგახსნებათ!



..რიგის მიხედვით!..

ტელეფონების მუშაობაზე (თბილისური ტელეფონებისა) რაიმე ახალი რომ თქვა, კაი მაგარი ნერვები და კაი მდიდარი ფანტაზია უნდა გქონდეს! ვის არ უწერია, ვის არ უჩივლია, ვის არ დაურეკავს, მაგრამ რად გინდა! წერე და იკითხე, რეკე და ისმინე!..

ტელეფონებზე წერა, საერთოდ, სირცხვილიც კია ახლა. რა უნდა თქვა ისეთი, რაც ათასობით თბილისელს არ უთქვამს და არ დაუწერია?! რა ყურები და თვალები უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამდენი საუველური ისმინოს, ამდენი საჩივარი იკითხოს და მაინც შშვიდად იყოს!

საქალაქთაშორისო ტელეფონის მესვეურებზე გეუბნებით.

ცოტა ხნით გადადეთ ეს წერილი და აკრიფეთ ასეთი ნომრები: 95-23-77, 95-49-04, თანაც წაიკითხეთ ტელეფონების წიგნის მე-19 გვერდის მეორე სვეტის დასაწყისი, სადაც მათ დანიშნულებაზეა ლაპარაკი. თუო, ნათქვამია იქ, არადა მაკმაყოფილებლად მოგემსახურათ საქალაქთაშორისო ტელეფონი, მიმართეთო ცვლის უფროსს! ძალიან კარგი, მაგრამ ცვლის უფროსი მთლად ისე მიამიტი ნუ გგონიათ, რომ მთელი ცვლის მანძილზე ტელეფონთან იკდეს და ვიღაცებს ეხმარებოდეს, ვთქვათ, წალენჯიხის ან ონის „აუჯანაში“.

თუმცა ჯერ ბოლომდე ჩაუყუვეთ მითითებულ აბზაცს: ესლი მერი ნე ბუდუტ პრინატი, (მიმართეთო) ნაჩალნიკუ კომუტატორნოგო ცეხა პო ტელეფონუ 95-10-80.

ასე ზრუნავენ ტელეფონისტები აბონენტთა კეთილდღეობისათვის.

დასახელებული ნომრები კი დუმან, ან გაბმულ ზუმერს, ან წყვეტილ ხმას გამოსცემენ.

ამიტომ გითხარით, სცადეთ და დარეკეთ-მეთქი. წინასწარ გაფრთხილებთ, არაფერი გამოვა! თუკი მაინცდამაინც რომელიმე ქალაქს გინდათ დაელაპარაკოთ, ისევ რიგით ტელეფონისტებთან სჯობს იჩალიჩოთ!

ამას წინათ, საღამოს 7 საათზე, შევუკვეთე წყალტუბო (გახსოვდეთ, ეს ერთი მაგალითია მრავალთაგან). ტელეფონისტმა ქალმა ძალიან ზრდილობიანად მიიღო შეკვეთა და ბოლოს დააყოლა: „ოჟიდაიტე ვ პორიადკე ოჩერედი!“ ღმერთმა უწყის, რა „ოჩერედს“ გულისხმობს ეს ქალი. 10 საათამდე ველოდე; მერე ვეღარ მოვითმინე და მორიგეს დავურეკე (74-07-01), ჩემი რიგი ხომ არ მოსულა-მეთქი. მორიგემ 27 წუთი მაყურყუტა ყურმილთან და მერე სრულიად დამშვიდებით მახარა: „ოჟიდაიტე ვ პორიადკე ოჩერედი!“ და ყურმილი ნელა დადო (ამ ქალს თავისი ნომერი ჰქონდა — 80. დანარჩენი 79 კი, ალბათ, სხვა აბონენტებს ამშვიდებდა).

ყველა მისადგომი მოვსინჯე, ბოლოს მომაგონდა 95-23-77. მეცხრამეტე ცდაზე ქალის ხმა მომესმა. იგი გაკვირვებული იყო, ალბათ, არ ელოდა აბონენტისაგან ამდენ სითამამეს. როცა ჩემი გასაჭირი ვუამბე, ცეცხლზე ნავთი დასხა, თქვენი შეკვეთა საერთოდ არა გვაქვსო და ნელა, ძალიან ნელა დაკიდა ყურმილი.

ახლა ისევ მორიგეს მივუბრუნდი; ვერ გავბედე ზემოხსენებული ნომრების აკრეფა, გამოცდილებით ვიცოდი, წყლისა და საცრის ამბავი გამოვიდოდა.

11 საათზე მორიგემ ხელახლა მიიღო შეკვეთა და მითხრა: ელოდეთ რიგის მიხედვითო!..

მერე მე ჩამეძინა და სიზმარში სრულიად უშფოთველად, რიგის მიხედვით, დავუკავშირდი სასურველ აბონენტს.

მაგრამ რა ჰქნას იმან, ვისაც ღვიძავს?


მუხრანებით დააქვინ და დაკვირ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეასედ ვრეკავ... ო, გასკდა გული...
(ასეთ დღეში ვარ დიდი ხანია!)
— აფთიაქია? — ჩავეკითხე ყურმილს,
ყურმილი ამბობს: — რესტორანია!..

მას ჩემი ხელში შეეკვლა ნდომია,
ვინაც ამნაირ ცეცხლში გამხვია!..
რედაქციაში ვრეკავ მგონია, —
სამშობიარო, თურმე, სახლია!..

ახლალა ვხვდები, ვრწმუნდები,
ვხედავ, —
რა გამძლეობაც ნერვებს ჰქონია!
— ტელეფონია? — მოგმართავთ
თქვენ და,
თქვენ ნულარ მეტყვიით: — ტელეფონია!



წამების იარაღები (V-XX სს.).

როდემდე უნდა ითმინოს ტელეფონმა?

...პრემი ნომერს, ჩქარობ, საჭიროა, ზუსტად გითხრან, რამდენი აქვს ავადმყოფს ჰემოგლობინი, ლეიკოციტები და როცა... ელოდები პასუხს, მაგრამ ყურმილში გულისგამაწყალებელი ტუ-ტუ-ს მეტი არაფერი ისმის. უცებ ნანატრ „ალო“-ს გაიგონებ და ყურმილში სულმოუთქმელად ჩახძახი:

- საავადმყოფოა, ქალბატონო?
- საავადმყოფო ნუ გამოელიოს შენს ოჯახს! რას მიხეთქავ გულს, შე ოხერო! — კივის ცივი ხმით ქალი და გიკიდებს ყურმილს.
- ...რამაპ მ შე ნებ ლობაზე, გადაუდებელი საქმის გამო. ხვდები ხან აბანოში, ხან — ბინაზე, ხან — რკინიგზის ცნობათა ბიუროში, სადაც, მართლა რომ გკირდებოდეს, ვერაფრით მოხვდები. დიდი წვალების შემდეგ, გესმის ნაცნობი ხმა და მისავათებული ეკითხები:
- სიმონი ხარ?
- რომელი გნებავთ, ბატონო, სიმონა ძალაძე, თუ სიმონიკა დოლიძე? — სითხითებს ვიღაც ყურმილში და ისევ ტუ-ტუ გესმის.
- ...რამაპ მოდების ატელიეში, სადაც ნაჭერი გაქვს მიტანილი და შერჩეულ მოდაში კორექტივი გინდა შეიტანო.
- სთხოვეთ, ქალბატონო, გამომჭერეს! — მორიდებით ამბობ.
- არ სცალია ახლა იმას! — მედიდურად გიპასუხებს თვითდაჭერებული ხმა და ყურმილს ჰკიდებს!..
- ...საღამომ, მთელი ოჯახი იკრიბება ტელევიზორთან ფეხბურთის მატჩის საყურებლად. უცებ საქალაქთაშორისოს გაბმული ზარი აყრუებს იქაურობას.
- ალო! ელაპარაკეთ ჩხოროწყუს! — ბრძანებასავით ჩაგძახიან ყურმილში.
- ჩხოროწყუს?! — გაოგნებული აპარალებ თვალებს, — იქ არავინ მყავს, ქალბატონო! — ცდილობ. გააგებინო ტელეფონისტს, მაგრამ ვინ გისმენს? ჩხოროწყუს უკვე ჩართულია!..
- რას მერჩით, ქალბატონო, ამ პატოსან კაცს?! — გაბრაზებული ჰკიდებ ყურმილს, მაგრამ საქალაქთაშორისო მაშინვე გიწკარუნებს ზარს:
- ელაპარაკეთ ჩხოროწყუს!
- ვის ველაპარაკო?! საერთოდ არა მყავს იქ ნაცნობი! — ცეცხლი გეკიდება აღშფოთებულს.
- რა ნომერია ეს? — კივის ტელეფონისტი.
- რა ნომერია და, 36 ...
- მერე, თავიდანვე ვერ თქვი მასე, კაცო?! დაკიდე ახლავე ყურმილი! ყურმილს კი დაჰკიდებ კაცი, მაგრამ როდემდე ითმინოს ტელეფონმა ჩვენი უხეშობა?!



ართმა ჩვენმა სატირიკოსმა ტელეფონი შუა საუკუნეების ინკვიზიციის წამების იარაღებს შეადარა და, კაცმა რომ თქვას, ტელეფონს მართლაც არა აქვს მთლად კარგი ფონი, ზოგჯერ მას კავშირგაბმულობა კი არა, კავშირგაუბმელობა უფრო უნდა ერქვას! კიდევ კარგი, ბავშვობიდანვე ვერგევით გაფუჭებული ტელეფონობანას თამაშს, თორემ სიბერეში რა გვეშველებოდა?! მოკლედ, ზოგნი ამბობენ, ტელეფონისგან გვჭირს რაც გვჭირსო, მაგრამ ყველა ეტანება მას. არა გვაქვს — ვაია, გვაქვს და — ვუი! როცა ტელეფონი გიდგას სახლში, მარტო არა ხარ! ამიტომაც, ასე რომ აწყდებიან მას ადამიანები, ამიტომაც, ჯვარს რომ იწერენ მასზე, უკავშირებენ თავიანთ ბედ-იღბალს უკუნისით უკუნისამდე, წერენ ამდენ განცხადებას — გვადირსეთ ტელეფონი, უიმიოდ ცხოვრება არ შეგვიძლიაო! ჩვენც ვკმაყოფილებით და ვაკმაყოფილებთ ამ განცხადებებს, მაგრამ მილიონი რომ დააკმაყოფილო და ერთი უკმაყოფილო დაგჩნეს, ერთი კაცის საყვედური უფრო სმამალა ისმის, ვიდრე მილიონის მადლობა. თუმცა, სასაყვედურო, რაც მართალია, მართალია, ჯერ კიდევ გვაქვს და აბონენტთა თუ აბონენტობის კანდიდატთა საპატრიო ნოდების მაძიებელთა სახელით ტელეფონით ვეგინდა ჩვენი შენიშვნა მოვასხენოთ **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საბავშვო სატელეფონო ქსელის მშენებლებს**. ვიღებ ყურმილს, რის ვაივაგლახით ვერფხ ნომერს და ვუცდი ზუმერს.

— ყურნალ „ნიანგის“ რედაქციის მკითხველთა სახელით გელაპარაკებთ! კარგად არ გესმით? სხვათა შორის, არც ჩვენ გვესმის მთლად კარგად! როგორ მოხდა, რომ თქვენ ტელეფონის საქალაქო ქსელის აბონენტთა ზრდის გასული წლის გეგმა მხოლოდ 79,4 პროცენტით შეასრულეთ, 13.000-ის ნაცვლად, სულ 10.320 აბონენტს დაუდგით ახალი ტელეფონი? ვთხოვთ გაითვალისწინოთ.. როგორ? კიდევ არ გესმით? გიმეორებთ, კი არ აითვალ წუნოთ, გაითვალისწინოთ მშრომელთა სამართლიანი შენიშვნები!

ვიღებ ყურმილს, ვიღებ კალამს და... ეჰ, რა აღარ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე. გამიგონია, ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდეს — ამას პოლიგამია ჰქვია, ორი მანქანა — ამას ლორობა, ორი აზრი — ამას ორზროვნობა, ორი გული — ამას ორგულობა, ორი თავი — ამას უთავობა, ორი ამხანაგი — ამას ცოტა, ორი სახლი — ამას ბევრი... ყველაფერს მოუძებნის კაცი სახელს, მაგრამ



იმას რაღა ჰქვია, როცა ათასობით კაცს ერთი ტელეფონი არა აქვს, ერთ კაცს კი ერთ სახლში ორი ტელეფონი უდგას?!

რედაქციიდან ვრეკავთ ორ ტელეფონზე და ორივე ყურმილში ორჯერ იმდენი სიგნალი გვესმის! იფიქრებ, თვითონ ტელეფონის აპარატებიც ველარ ფარავენ გაოცებას და, მათი პატრონის საქციელით შერცხვენილნი, გაუთავებლად გასძახიან, ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ, მოგვეჭრა თავიო! მერე ორივე ყურმილში გაისმის ერთადერთი, სინდისნამუსდამშვიდებული ხმა!

ნამდვილად საარაკო შემთხვევაა! ვთქვათ, მარტო ხარო სახლში და საკუთარ თავთან გინდათ ლაპარაკი. საკუთარ თავთან ლაპარაკი უტელეფონოდაც შეიძლება, მაგრამ სულ სხვაა ტელეფონით. იღებთ ყურმილს და კრეფთ... საკუთარ ნომერში ზრრრრრრრრრრ! — იქვე გაისმის მეორე ტელეფონის ხმა. თქვენვე იღებთ მეორე ტელეფონის ყურმილს და მიგაქვთ მეორე ყურთა: — **ბრძანებულების მუჩა 47-ია?** — ეკითხებით მარცხენა ყურმილით მარჯვენა ყურმილში.

— დიიიახ! — ამბობთ მარჯვენა ყურმილში და მარცხენა ყურმილში გესმით ნაცნობი ხმა.

— **დავითიანის ბინაა?** — უცნობივით ეკითხებით მარცხენა ყურმილში და მარჯვენა ყურმილში მიღებულ პასუხს მარჯვენა ყურიდან მარცხენაში უშვებთ. რაც უნდა ინტრიგანი იყოთ, ამ შემთხვევაზე ვერ იტყვი, მარცხენამ არ იცის, მარჯვენა რას აკეთებსო! თვითონ ეკითხებით და თვითონვე პასუხობთ: დიიიახ, დავითიანის ბინაა!

ნაღდად კარგი თამაშია, არ ღირს შეწყვეტა! ისევ აგრძელებთ ლაპარაკს:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?
 — მე დავითიანი ვარ, თქვენ?
 — მეც დავითიანი ვარ!
 — არაა! ნე მოუქებ ბიტი!
 — როგორ თუ არა?! ხმაზე ვერა მცნობ?!
 — როგორ ვერა გცნობ: მე შენ ვარ, შენ მე ხარ! რასა იქ?
 — ვარ, რა! შენ?
 — შენ თუ ხარ, ესე იგი, მეცა ვარ!
 — ეს მეორე ტელეფონი საიდან?
 — კარგი რა, ვითომ არ იცი! აი, ჩემი ძმა რომ ორი წლის წინათ ამ სახლიდან ახალი ბინაში გადავიდა, იმან დამიტოვა.
 — არ ჩააბარე?!
 — ჩააბარე, რა, მისაღები გამოცდები იყო?!. იყოს, რა მენადვლება, საქმელს არ თხოულობს და სასმელს!
 — ორი ტელეფონი რად გინდა?!
 — ერთს ორი არ სჯობია?!
 — რაში გჭირდება?!
 — რაში უნდა მჭირდებოდეს?!
 — მაშ, რატომ არ აბარებ?!
 — ვაუშვი, იყოს, ლამაზია, მე რა მენადვლება!
 — როგორ თუ რა გენადვლება?! ქალაქს ტელეფონები უჭირს, ზოგს სულ არა აქვს, შენ კი ორი გიდგას!..
 — დიაცა, დიაცა! ვინ ლაპარაკობს?! რაღაც ელოდა გცნობ!
 — შენი სინდისო ლაპარაკობს!
 — ჩემი სინდისი ჩემია, და მე ვიცი, ის რასაც ლაპარაკობს!.. ეს რა კრიტიკა გამიხურე აქ?! რომელი ხარ?!
 — რა შენი საქმეა?!
 — როგორ თუ რა ჩემი საქმეა?! ეს დანაშაულია!..
 — კარგი, რა! მითხარი, ვინ ლაპარაკობს?!
 ეგ არც ჩემი, არც მეორე ჩემი შენი სიტყვები არ არის, მე თუ ვლაპარაკობ, ვაუშვი, მე ვილაპარაკო, თუ შენ — შენი ევე, მგონი, ვიღაც სხვა ჩაერთო ჩვენს ლაპარაკში! რომელი ხარ?! მე, შენ, თუ ის?!

— არც მე, არც შენ! ის ლაპარაკობს, ამხანაგო, ის ეს შენი ორეულის კი არა, საზოგადოების ხმაა! მგონი კი არა, მართლა ჩაერთვნენ ლაპარაკში და, ვილაცები კი არა, სწორედ ის პირები, რომლებმაც გამოავლინეს, შეამონმეს და დაადასტურეს ეს კურიოზული და აღმაშფოთებელი ფაქტი! სწორედ რომ აღმაშფოთებელი, რადგან, არა მგონია, ორტელეფონიანობა ორცოლიანობაზე ნაკლები დანაშაული იყოს!

გელა თელია

მეზობლებთან დაკავშირება და დარეკვა

ვინ მირეკავს?
 ვის ვურეკავს?
 ვისთან ვხვდები მე?
 ო, ნულ-შვიდო,
 დამამშვიდე,
 ერთხელ ხმა გამე!
 თუ მსასურობ,
 იმსასურე,
 ქალო შაგანე!
 ატეესო, ატეესო,
 მიშველე რამე!

09-ს

ხანდახან ყურმილიც აიდეთ, სულ ნუ გატუტუტუცდებით!

დღეს პირველი აპრილია!..


ტელეფონის დადგმა? — ეს ხომ სულ, სულ, სულ, სულ, ადვილია, — ანუ უუადვილესი! — დღეს პირველი აპრილია!

●

კაცი ვარ და ქუდი მხურავს, გადავურჩი „პარალიჩს!“ — დავამტვრიე ტელეფონი, (ჩემთვის იყო ზარალი!) არც არავის არ ვურეკავ, არც მირეკავს არავინ!..



ნახ. გ. ლომოურისა
— საღ მიგყავს, კიპოლა, ეგ შენი ქაჯანა?
— წმინდა გიორგის ეკლესიაში, უნდა შევალოცვირო, იქნებ ენა ამოიღვას!



ნიანგის რაციონალიზატორული წინადადება მალაზიამდე ხილგობსტანის
ულანაკარგოდ მისატანად.

იხით თუ არა თქვენ, რომ...

რუსთავის ბავშვთა სპორტსკოლა ავარიულ შენობაშია და ბავშვებმა არ იციან, როდის ჩამოენგრევათ ჭერი თავზე?

რუსთავ-თბილისის მარშრუტის ტაქსები ბარათაშვილის ხიდიდან ორთაჭალაში გადაიტანეს და იქიდან დედაქალაქის ცენტრამდე მისასვლელად ტაქსის დაჭერა და მგზავრობის იმდენივე ფასის გადახდაა საჭირო, რამდენიც რუსთავიდან თბილისამდე, დაკარგულ დროზე რომ არაფერი ვთქვათ?

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობიდან დასი მეორე წელია გამოიყვანეს. სპექტაკლებს თბილისში მართავს და შენობის რემონტი კი ჯერაც არ დაწყებულა?

რუსთავს აქვს შესანიშნავი, ბუნებრივი ტყე-პარკი ტბით, მაგრამ მას მოვლა-პატრონობა აკლია?

რუსთავში არიან ოჯახები, რომლებიც დროულად იხდიან გათბობის ქირას და ზამთრობით მაინც კბილებს აკაწაწებენ სიცივისაგან?

ვანო ცინცაძე

წერილების კვლავკვალ

ჩვენს სოფელში გულდონის მოსახარში ქარხანაა, ბოლი აბინძურებს ჰაერს, ჩვენს კარმიდამოს! — სწერდა რედაქციას ბორჯომის რაიონის სოფ. დვირის მოსახლეობა.


ბორჯომის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან, სადაც წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაიგზავნა, რედაქციას შეატყობინეს, სოფელ დვირის მოსახლეობის საჩივარი სამართლიანია.

აღმასკომმა საქურორტმშენის ბორჯომის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს დააავალა ქარხნის სხვა ადგილზე გადატანა, რაც შესრულდება საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ.

* * *

მთელი ჩვენი ეზო ავტოსადგომებმა დაიკავეს, სათამაშო ადგილი აღარ დავგრჩა! — შესჩიოდნენ რედაქციას ქ. ბათუმის გორკის ქ. № 66-ში მცხოვრები ბავშვები.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს: მივიღეთ გადაწყვეტალება თვითნებურად მოწყობილი ავტოსადგომების აღების შესახებ, რაც უახლოეს დროში იქნება მოყვანილი სისრულეში.



— თქვენს ხვალ მიბარებთ?! ეჰ, ერთი დღით
აღრმე მაინც დაგვაღებულეყავი!

საინსურესოა, ვინოდეთი..

დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი — პეტრა მიხაელის წერილმა ქართულ სტუმართმოყვარეობაზე კაპიტალის სამყაროში დიდი აუიოტაჟი გამოიწვია. ბიზნესმენებმა საქმე იზოვეს. ერთი კლუბის კარებზე ასეთი წარწერა გაჩნდა:

„ვხსნით ჯანმრთელობის გაკაუების კურსებს საქართველოში ტურისტად წამსვლელ მოქალაქეთა მოსამზადებლად!

სწავლების ვადა ექვსი თვე!

ექვსი თვის შემდეგ თქვენ შეგედლებათ:

დალიოთ ერთი კასრი ღვინო (ფერის მიუხედავად)!

სადღეგრძელოში გენიოსად გამოაცხადოთ სუფრის ნებისმიერი ნახევრადნაცნობი, ან სრულიად უცნობი წევრი!

რვა საათი გაუნძრევლად იჯდეთ სუფრასთან!

აითვისოთ და მოინელოთ N რაოდენობის საკვები (ექვსჯერ მეტი თქვენს ჩვეულებრივ ულუფაზე)!

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ნამდვილი ცნობა და ექვსი ფოტოსურათი!“

იმ ბიზნესმენებმა იკითხონ, თორემ ჩვენ დღეიდან აღარ დავაძლებთ ღვინოს არავის, სტუმარს აღარ დავსვამთ სუფრასთან, რვა საათს არ ჩავუგდებთ სუფრას ხელში მოლაყბე თამადას და ხომ გაუუქმდებთ თავიანთი კურსები?!

გერმანისტი

„საარბრიუპერ საიზუნეს“ — კესრიათნული მიხაელისათვის

(ნაწყვეტი კომედიან — „ზარი“)

ბიჭს გოგონა უყვარდა შორით, მაგრამ დაღადით! —
რა მსოფლიო რუკა და რა კედელზე ნახატი!

გოგო ჩანგზე უკრავდა, იმ ბიჭუნას ნახვამდი! —
რა მსოფლიო რუკა და რა კედელზე ნახატი!

მიწა, მიწა გვწყურია, — ცეკვით გადაჯეგილი!
საცა სიყვარულია, — იქ ბევრია ჭეჭილი!

მიწას მიწა სწყურია, ბრუნავს მიწის ბორბალი!
საცა ბევრი შურია, იქ ცოტაა ხორბალი!

ქუხს მსოფლიო, ეღვარებს, ლამის მთვარე დამოდდვროს!..
ფრაუ პეტრა გერმანელს ჩვენი სუფრა არ მოსწონს!

ღვინო ვუქეთ მოყვასებს, ეზხი ვუქეთ მწვანისი,
ჭიქა გვედგა, — ჩონხსებრ წელში გამოყვანილი!

ვუღღეგრძელებთ შუმანი, ჰაინე და გოეთე,
თურმე მშიერ-მწყურვალი ქალი დაგვრჩა პოეტებს!

ხიმდერა ვთქვით ამქრებით ალავერდს და აღზევანს,
არც მეტი, არც ნაკლები, აი, რა მოგვანხენა:

„ლხინს თამადა მართავდა, უქეს სუფრის გაძლოლა,
სუფრა ისე დამთავრდა, ვერ მოვასწარ გაძლოლა“.

საარბრუკენს დელავენ (გლობუსიდან წაგვშლიანი!)
ფრაუ პეტრა გერმანელს ჩვენში კუჭი აშლია!

ხუმრობად ვერ ჩათვლიან, ქვეუნად თუა ხუმრობა,
ამას ჰქვია მადიან კაცის უმადურობა!

ან ხორცი სულს გავყარეთ, ან ველტვით დიდმპყრობლობას!
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?!

სული გავისაპყარეთ, შევეჩვიეთ ობლობას!..
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა,


ბორბლის ღერძი გავხარეთ, მზეს დავარქვით ობობა!..
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?!

იქნებ ვინმე გვანარებს ქვაბთა პირველყოფობას?!
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?!

იქნებ მიწა მეფურად უნდა დავყოთ სამნებად?!
იქნებ მოჭარბებულად გვემდერ-გველექსავება?!

ვინც ძმასავით შევაქეთ, მაინც გაგვიგულისდა!
უველას არმად შეარგე ყადრი ჩვენი სუფრისა!

აბა, რას გაგატოლო?! მინდა, ახლო გხედავდე!
ო, პეტრა ქალბატონო, მომავალ შეხვედრამდე!




მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ გოლკვაძე
სარედაქციო კოლეგია: ჯ. კაციაშვილი, ჯ. ლოლა,
გ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიჟინაძე, გ. სინარულიძე (პ/მ, მდივანი), გ. ფირცხალავა, ი. ვაღიძე
● ტექნიკური რედაქტორი გ. კახალაშვილი. ● საბმრისა და იუზორის უძრავი „ნიანგი“. ● თბილისის რუსთაველის პროსპექტი № 42.
● საქართველოს კვ. ცვ-ის გამომცემლობა, ვადაცა ასაწყობად 24/VI11 79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 1/X 79 წ. ქაღალდის ზომა 70x108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის
ქ. 14 ● შეკვ. 2224. უკ 00818. ტირ. 144.000 ● ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი». ● Изда-
тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


ნახტი თემების ავტორები:
ბი: ვ. ლუბოვი, გ. დეიხაძე,
ნ. მაღოვი, გ. მებრეველი,
ი. შერაბიშვილი, ი. კომო-
დიონი, გ. ფირცხალავა.



ნახ. ნ. მალაშვისა



ნახ. ვ. ლუგოვსკისა



ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

გაბროვო

ვიწრო შარკლები და მოკლე ქვედატანები, პლანური, ცალ მხარეს გოგირდწასმული ასანთის კოლოფები, კაპიკიანი მონეტები და ელექტროენერჯის ეკონომიის რეჟიმი — ყველაფერი ეს გამოივლინეს გაბროვოელებმა.

გაბროვო ბულგარეთის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქია. იგი ცნობილია თავისი მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული და არქიტექტურული ძეგლებით. ქალაქი გამარჯვების გადასასვლელი შიპკის მახლობლად მდებარეობს.

გაბროვოელები არასოდეს ყოფილან კოლუმბები და მაგელანები, იმიტომ, რომ აღმოჩენა არასაიმედო რამაა; არა ჰყავთ ვან გოგები და პიკასოები; იმიტომ, რომ ნოვატორობა და ინიციატივა დროულად არ ფასდება; გაბროვოელები აღმოჩენები, გამომგონებლები და ნოვატორები არიან იდეების სფეროში, კონკრეტულად — ეკონომიურ მეცნიერებაში.

ჰყავის ბულგარეთი, მაგრამ ყველაზე მეტად ჰყავის ინდუსტრიული გაბროვო, არა ღმერთის, არამედ მისი უბრალო, წინდახედული და მოხერხებული მცხოვრებლების წყალობით.

გაბროვო განთქმულია თავისი შესანიშნავი ქსოვილებით. თუმცა მის არ შეუძლია ჩააცვას ჩვენს გაშიშვლებულ პლანეტას... გაბროვული ფეხსაცმლის ინდუსტრიას შეუძლია მიიღწიოს გაუგონარ გაქანებას, მაგრამ ყველას ვერ ჩააცვამ დენზე!

გაბროვულ ხუმრობას კი შეუძლია გააციოს მთელი კაცობრიობა.

გაბროვოელებზე ამბობენ:

...ღამით საათებს აჩერებენ. ნაწილები რომ არ გაცდეს.

...ბატებს კულებს აჭრიან, მათი შემოსვლის დროს კარი რომ მალე მოიხუროს და... ოთახი არ გაცივდეს.

...ცეკვამენ საშინაო შალის ჩუსტებით, საცეკვაო მუსიკა მეზობელ ქალაქიდან რომ გაიგონონ.

...როცა მარაო მოდაში იყო, მომჭირნე და ყიარათიანი გაბროვოელები მის წინ თავებს იქნევდნენ.

...ცხენებს საკვებად ნახერხს უყრიან და მწვანე სათვალეს უკეთებენ, თივა ვგონებათო.

...იმავე ცხენებს კულებს აჭრიან, ზედმეტი ენერჯია არ დახარჯონო.

...დილაობით იღებენ პურის ნაჭერს, მიდიან ბაზარში, გემოს უსინჯავენ ყველს, კარაქს, ბრინჯას... და ასე საუზმობენ.

...წარის ბუდეში უწყობენ ბატის კვერცხებს, ბატის ჭუკები რომ გამოჩეკოს. ამიტომ გაბროვოში წეროები არ არიან.

...ცოლუბისთვის პუდრს რომ ყიდულობენ, კოლოფს ფქვილით შეავსებენ ხოლმე, დიდხანს ეყოფათო.

...როცა ჩაით უმასპინძლებიან სტუმრებს, დანებს აცხელებენ, კარაქი ვერ აიღონო.

...როცა რამეს ყიდულობენ, თხოულობენ, ახალ გაზეთში შეგვიხვიეთო.

...ღამით საქათმეში სინათლეს ანთებენ, ქათმებმა რომ იფიქრონ, გათენდაო და კიდეც დაღონ კვერცხი.

...როცა სივარეტს უკიდებენ, ასანთის ღერს ორად ჰყოფენ, მეორეგერაც გვეუოსო.

...საზამთროსა და ნესვს არასოდეს გაახეხებენ, ვაითუ, სქელკანიანები დაგვიბრუნონო.

თარგმნის ლილი კოლაშაშვილი და უზანგი ლითანიშვილი